ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების კორექტირებული პროექტის საექსპერტო შეფასება

ქ.თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მ/რ-ში N30ა, კორპუსი (ს.კ. 01.14.02.004.044) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნულ მისამართზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, ალბომის სახით.

დამკვეთი ორგანიზაცია:	შპს „ვექტორი“ (ს.კ. 405165217)
საპროექტო ორგანიზაცია:	ი/მ „ვლადიმერ დემეტრაძე“
პრ. მთ. არქიტექტორი:	ფ.დემეტრაძე
პრ. მთ. კონსტრუქტორი:	ა.აბჟანდაძე
ექსპერტ-კონსტრუქტორი:	ნ.ჭკუასელი

საპროექტო შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, კონსოლური ნაშვერებით მიწისზედა ნაწილში აივნების სახით. მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ღერძებს შორის 11,0x13,7.

საპროექტო შენობა შვიდ სართულიანია, მიწისქვეშა ერთი ავტოფარეხის სართულით. შენობის სვეტების ბიჯი ვერტიკალური 6,0 და 5,0 მ, ხოლო ჰორიზონტალური 6,0; 4,1 და 3,6 მეტრია.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპისაა. ნაგებობის მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულია პროგრამული კომპლექსის “Lira-sapr 2013” საშუალებით.

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურიბის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 85 კგ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50 კგ/მ^2; საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საძირკვლის ფუძედ მიღებულია ქვიშაქვებისა და არგელიტების მორიგეობის წყობა პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=7.5 კგძ/სმ^2.

შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება:

შენობის საძირკველი - მონოლითური რკ.ბეტონის წერტილოვანი ცალკემდგომი, 2,0x2,0 სისქით 0,8 მ. საძირკვლის ქვეშ ეწყობა ბეტონის მომზადება 10 სმ. დატკეპნილი ბალასტის თავზე.

სვეტები - მონოლითური რკ/ბეტონის 40x40 სმ

რიგელები - მონოლითური რკ/ბეტონის 40x55 სმ

გადახურვის ფილები - მონოლითური რკ/ბეტონის h=15სმ.

აგრეთვე მონოლითური რკ/ბეტონისაა შენობაში არსებული კიბე; კონსტრუქციაში გამოყენებულია B-25 კლასის ბეტონი, არმატურა კლასითA-240, A-500C (ДСТУ3760-98) ფოლადის მარკა СОЗДО; 25Г2С; ავტოსადგომის იატაკის დონეზე, შენობის მთლიან პერიმეტრზე მოწყობილია მონოლითური რკ/ბეტონის კედლები, რომლებიც გარედან დაფარულია ჰიდროიზოლაციით.

სახურავი - შენობის სახურავი არის ბრტყელი მცირე ქანობით, რომელიც ეწყობა მონოლითური რკ/ბეტონის ფილაზე.

კედლების შევსება ხდება მსუბუქი სამშენებლო ბლოკით, მარკით არანაკლები M-50-ს ცემენტის ხსნარზე.

პროექტის კორექტირება ითვალისწინებს ადრე შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში შემდეგს: ქ.თბილისის მერიის გადაწყვეტილება N5118691-ში აღნიშნული ხარვეზის შესაბამისად დასამონტაჟებელი ღითონის კიბის კონსტრუქციული მიშენება უარყოფით ცვლილებას არ გამოიწვევს.

დასკვნა: ქ.თბილისი, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მ/რ N30ა კორპუსის. (ს.კ. 01.14.02.004.044) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საკმარისი მოცულობით მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, პროექტის გრაფიკული ნაწილის ანალიზის საფუძველზე ექსპერტიზა დადებით შეფასებას აძლევს კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს და რეკომენდაციას უწევს მას მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,

ტექნიკურ-მეცნიერებათა კანდიდატი: ნ.ჭკუასელი

CV

ნიკოლოზ ჭეჭასელი

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭეჭასელი ნიკოლოზ პეტრეს–ძე
დაბადების თარიღი, ადგილმდებარეობა	1934წ., 9 აგვისტო, ქ. თბილისი
მისამართი, ტელეფონი	ქ. თბილისი, ბაბტრიონის 1–ლი კორ., ბ.200 ტელ.: 2362501, მობ.: 555 36 25 01
განათლება	1952წ. – ქ. თბილისის ვაჟთა მე–7 სამ. სკოლა 1958წ. – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. მშენებელ–ინჟინერის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1968წ. – ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი – (დიპლომი). 1995წ. – აშშ–ს მეცნიერების, განათლების, მრეწველობის, ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი – (სიგელი) 2003წ. – საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი – (დიპლომი) 2006წ. – საქართველოს დამსახურებული მშენებელი – (სიგელი) 2007წ. – საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი – (დიპლომი)
საქმიანობა, სამუშაო გამოცდილება	1958–1962წ.წ. – „თბილქალაქპროექტი" – ინჟინერ–კონსტრუქტორი. 1962–1976წ.წ. – სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი. 1976–1992წ.წ. – ამავე ინსტიტუტში – შეთავსებით, მეცნიერ–თანამშრომელი. 1976–1996წ.წ. – მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტში („საქსახმშენი") – სამმართველოს, მთავარი სამეცნიერო–ტექნიკური სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი. 1996წ. დღემდე – სახელმწიფო ლიცენზირების ცენტრი, შპს საპროექტო სამშენებლო ინჟინერინგი – დირექტორის მოადგილე, დირექტორი. 1971–1974წ.წ. – ალჟირის სახალხო–დემოკრატიული რესპუბლიკა, მივლინებით – საკონსტრუქტორო ბიურო, საპროექტო–ტექნოლოგიური, სასწავლო ინსტიტუტი – უფროსი ინჟინერი, ჯგუფის უფროსი, ლექტორი. 1977–1992წ.წ. – საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, პუბლიკაციები და ექსპერტიზა	გამოქვეყნებულია 48 სამეცნიერო შრომა – სამშენებლო კონსტრუქციების ექსპერიმენტალურ–თეორიული კვლევების განხრით. თხუთმეტზე მეტი პუბლიკაცია რესპუბლიკისა და უცხოეთის ჟურნალ–გაზეთებში – მშენებლობის დარგის განვითარების და საქართველოს მშენებელთა მოღვაწეობის შესახებ; მონაწილეობა საქართველოსა და უცხოეთში სამეცნიერო კონფერენციებში. გაცემულია 100–მდე საექსპერტო დასკვნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე და საერთოდ მშენებლობის მდგრადობაზე. სამსახურებრივი მოვალეობის შესაბამისად კურატორობდა და პირადად მონაწილეობდა „სამშენებლო ნორმებისა და წესების" დამუშავება–გამოქვეყნებაში.
ენების ცოდნა	ქართული – მშობლიური, რუსული – კარგად, ინგლისური, ფრანგული – სასაუბრო, თარგმნა-ლექსიკონის დახმარებით.

მე, ქვემოთ ხელის მომწერი ვადასტურებ, რომ ზემოთმოყვანილი მონაცემები ჩემს ინტერესებს, ჩემს კვალიფიკაციას და გამოცდილებას ასახავს.

ნ. ჭეჭასელი / N. Chechaseli /



დ ი პ ლ ო მ ი

სიგელი

მაჭრო ნიკოლოზ ტკაცერს

საქართველოს მშრომელთის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ოქტომბრის №1-1/1266 შრომებით მიენიჭა.

საქართველოს დამსახურებული მშრომელის წოდება





ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

МТН № 041079

Москва 5 марта 196 Jг.

Решением

Совета при Тбилисском научно-иссл. институте сооружений и гидроэнергетики им. А.В. Винтер

от 7 мая 196 5г. (протокол N 3)

Цкуасели Николаю Петровичу

присуждена ученая степень кандидата технических наук

Председатель Совета

Ученый Секретарь Совета

დიპლომი

К № 756982



საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



N° J 0207506